

რეკომენდაცია

სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-20¹ მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო ზვიად,

2016 წლის 22 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველს მომართა ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ იურისტმა ქალბატონმა ა. ნ.-მ, რომელიც წარმოადგენს კ. ს.-სა და დ. ე.-ს ინტერესებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. განცხადებაში აღნიშნულია, რომ კ. ს. და დ. ე. გახდნენ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი ლამის კლუბის „სექტორი 26“ დაცვის თანამშრომლების მხრიდან.

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტმა ინფორმაცია გამოითხოვა ლამის კლუბიდან „სექტორ 26“ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტიდან.

1. ფაქტობრივი გარემოებები

2016 წლის 19 აგვისტოს, 02:00-04:20 საათებში, კ. ს. და დ. ე. (შემდგომში „განმცხადებლები“) მეგობართან ერთად იმყოფებოდნენ ქალაქ ბათუმში, ძველ ბულვარში მდებარე ლამის კლუბში „სექტორი 26“, სადაც მათ ერთმანეთს აკოცეს. განმცხადებლების განმარტებით, კოცნიდან დაახლოებით 15-20 წუთში მათთან მივიდა კლუბის დაცვის ორი თანამშრომელი, რომელთაგან ერთ-ერთმა შენიშვნის მიცემის გარეშე კ. ს.-ს მარცხენა ხელი ზურგზე გადაუგრიხა, მეორე ხელით კეფაში დაარტყა, კლუბის გარეთ გაიყვანა და უთხრა: „გავარდები ახლა გარეთ და იზასავე რამდენიც გინდა.“ დაცვის მეორე თანამშრომელი კი

ცდილობდა დ. ე. შეეხოჭა და ისე გაეყვანა გარეთ, თან ეუბნებოდა: „დავაი დროზე, შე პიდარასტო“.

განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ მათ დაინახეს თუ როგორ კოცნიდა ერთმანეთს რამდენიმე ჰეტეროსექსუალი წყვილი, თუმცა დაცვის სამსახურს აღნიშნულ ფაქტზე ყურადღება არ გაუმახვილებია.

2016 წლის 19 აგვისტოს ინციდენტთან დაკავშირებით, განმცხადებლების შეტყობინების საფუძველზე შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის მთავარი სამმართველოს მე-6 განყოფილებაში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების საფუძველზე. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო საქმის გამოძიება შეწყდა, თუმცა ქმედებაში გამოვლინდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება - წვრილმანი ხულიგნობა, რის გამოც ბათუმის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 100 ლარის ოდენობით დააკისრა კლუბის დაცვის თანამშრომელს - დ. ბ.-ს.

2016 წლის 25 აგვისტოს სახალხო დამცველმა ინფორმაცია, მათ შორის, 19 და 20 აგვისტოს ვიდეო კამერის ჩანაწერების ასლები, გამოითხოვა მოპასუხე მხარისგან, თუმცა ღამის კლუბის ადმინისტრაციას წერილობითი პასუხი არ წარმოუდგენია. სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელი ტელეფონით ესაუბრა კლუბის დაცვის სამსახურის უფროსს, რომელმაც არ უარყო 2016 წლის 19 აგვისტოს მომხდარი ინციდენტი. მან აღნიშნა, რომ განმცხადებლების კლუბიდან გაყვანა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ისინი „ზასაობდნენ“, რამაც კლუბში მყოფი სტუმრების უკმაყოფილება გამოიწვია. სიტუაციის დამაბვის თავიდან აცილების მიზნით კი, დაცვის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, რომ განმცხადებლებს უნდა დაეტოვებინათ კლუბი. როგორც დაცვის სამსახურის უფროსმა განმარტა, სახალხო დამცველისათვის ვიდეო კამერების ჩანაწერების ასლების მიწოდება შეუძლებელი იყო, ვინაიდან ჩანაწერები მალევე ნადგურდება.

2. სამართლებრივი შეფასება

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.¹

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II,1

ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ*, არ არსებობს *კანონით განსაზღვრული მიზანი*, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება* და იგი დასახული *მიზნის არათანაზომიერია*.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ*. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება*, ე.ი. არ ისახავს *კანონიერ მიზანს* და არ არსებობს *პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის*.²

2.1. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

როგორც აღვნიშნეთ, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისთვის, აუცილებელია, სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. აღნიშნული უფლება იცავს პიროვნების

² ECtHR, Eweida and others v. United Kingdom, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; Burden v. United Kingdom, no: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, § 60

ავტონომიურობას, პირის თავისუფლებას თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი შინაგანი სამყარო, მისი პირადი, გონებრივი და ფიზიკური სფერო, სხვების ჩაურევლად, პირადი გადაწყვეტილებით დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა სხვა პირებთან და გარესამყაროსთან.³ აღნიშნული უფლება პირველ რიგში გულისხმობს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას, რაც გულისხმობს პიროვნების ზოგად თავისუფლებას.⁴ სწორედ პიროვნულობა განსაზღვრავს ადამიანის არსს, მიუთითებს მის ინდივიდუალურ და სხვებისგან განმასხვავებელ მახასიათებლებზე.⁵ ამავდროულად, მე-16 მუხლი მოიცავს პირის ინტიმური ცხოვრების სფეროს, საკუთარი სქესის თუ სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრის უფლებასა და სექსუალური ქცევის არჩევის თავისუფლებას.⁶

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას. აღნიშნული მუხლი არ შემოიფარგლება მხოლოდ „შიდა წრით“, არამედ მოიცავს, გარე სამყაროს ჩართულობას ამ სფეროში, კერძოდ, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას,⁷ ასევე თვითრეალიზების უფლებას, იქნება ეს პერსონალური განვითარების გზით,⁸ თუ სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამყარების და განვითარების მეშვეობით; პირადი ავტონომიის ცნება მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც ხაზს უსვამს მე-8 მუხლით განსაზღვრულ გარანტიებს.⁹ პირადი ავტონომიისა და თვითრეალიზების უფლება ასევე მოიცავს ადამიანის უფლებას თავისი შეხედულებისამებრ წარსდგეს და წარმოჩინდეს საჯარო და საზოგადოებრივ ადგილებში.¹⁰ გარდა ამისა, სექსუალური ორიენტაცია პირადი ცხოვრების ისეთ ინტიმურ ასპექტს წარმოადგენს, რომელიც კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირად სფეროში ხვდება.¹¹

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლებს არ მიეცათ საშუალება თავიანთი შეხედულებისამებრ მოეხდინათ თვითრეალიზება და მათი სექსუალური ორიენტაციის შესაბამისად, საზოგადოების სრულწლოვანი წევრებისათვის ხელმისაწვდომი სერვისით ესარგებლათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, კლუბში ჯეროვანი მომსახურების მიღების ხელშეშლით მოხდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა.

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533, II, 3

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536, II, 55

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536, II, 54

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536, II, 56

⁷ ECtHR, *Niemietz v. Germany*, no. 13710/88, 16/12/1992, § 29

⁸ ECtHR, *Christine Goodwin v. United Kingdom [GC]*, no. 28957/95, 11/07/2002, § 90

⁹ ECtHR, *Fernandez Martinez v. Spain*, no. 56030/07, 12/06/2014, §126

¹⁰ ECtHR, *S.A.S. v. FRANCE*, no. 43835/11, 01/07/2014, § 139

¹¹ ECtHR *Laskey, Jaggard and Brown v UK*, nos: 21627/93, 21826/93, 21974/93, 19/02/1997, § 36; *P.G. and J.H. v UK*, no. 44787/98, 25/09/2001, §56

2.2. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.¹² საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწოროდ მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.¹³

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლებს, მათი სექსუალური ორიენტაციის გამო, არ მიეცათ საშუალება სრულყოფილად ესარგებლად ღამის კლუბის მომსახურებით. მათი სექსუალური ორიენტაციის გამო. განმცხადებლების განმარტებით კლუბში, ჰეტეროსექსუალი წყვილებიც კოცნიდნენ ერთმანეთს, თუმცა დაცვის სამსახურის თანამშრომლებს მათთვის კლუბის დატოვება არ მოუთხოვიათ. ამასთან, ერთ-ერთი განმცხადებლის კ. ს.-ს განმარტებით, ის 19 აგვისტოს ინციდენტამდეც იმყოფებოდა „სექტორ 26-ში“ და მეგობარ გოგონას აკოცა, თუმცა მათთვის არც გაფრთხილება მიუციათ და არც კლუბის დატოვება უთხოვიათ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განმცხადებლები არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული ჰეტეროსექსუალ წყვილებთან შედარებით, ვინაიდან ჰეტეროსექსუალი წყვილებისაგან განსხვავებით, მათი კოცნა ჰომოფობიური დამოკიდებულებისა და სერვისით სარგებლობაზე უარის თქმის მიზეზი გახდა.

2.3. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა, იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს **კანონით განსაზღვრული მიზანი**, აქვს **ობიექტური და გონივრული გამართლება** და გამოყენებული საშუალება დასახული **მიზნის თანაზომიერია**. ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის პირობებში, ადამიანის უფლებებში ნებისმიერი ჩარევა

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II, 19

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება #2/1/473, II, 1

თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.¹⁴ უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების და ინტერესების უზრუნველყოფა.¹⁵

ღამის კლუბის დაცვის სამსახურის უფროსმა სახალხო დამცველის წარმომადგენელთან ტელეფონით საუბრისას დაადასტურა, რომ კლუბში მომხდარი ინციდენტი განმცხადებლების „ზასაობამ“ გამოიწვია. დაცვის სამსახურის უფროსის განმარტებით, კლუბის სტუმრების უკმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ორი მამაკაცი ერთმანეთს კოცნიდა და დაცვის თანამშრომლების მხრიდან კლუბის დატოვების მოთხოვნა შემდგომი დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით მოხდა. მისივე განცხადებით, ძალადობას განმცხადებლების მიმართ ადგილი არ ჰქონია.

ამდენად, მოპასუხის განმარტებით, განმცხადებელთა მიმართ განსხვავებული მოპყრობის ლეგიტიმურ გამართლებად მოპასუხე უსაფრთხოებას და დაპირისპირების თავიდან აცილების მიზანს ასახელებს.

საქმეში არსებული მასალების თანახმად, ღამის კლუბის დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა, კოცნის შემდეგ დაახლოებით 15-20 წუთის შემდეგ, განმცხადებლებს ძალადობრივი გზითა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებით დაატოვებინეს კლუბი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ 2016 წლის 16 სექტემბრის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი განმცხადებლის კ. ს.-ს მიმართ ძალადობრივი ხასიათის მოპყრობა და სიტყვიერი შეურაცხყოფა დადგინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, რომლის ნამდვილობაც დასტურდება ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლის მიერ და ასევე, სამართალდამრღვევის დაცვის თანამშრომელ დ. ბ.-ს აღიარებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ წარმოადგენდა მიზანს, რომლის მისაღწევად განმცხადებლებს კლუბი დაატოვებინეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კლუბის დაცვის სამსახურის რეალური მიზანი დაპირისპირების თავიდან აცილება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნებოდა, დაცვის სამსახურის თანამშრომელთა მიერ მიზნის მისაღწევად გამოყენებული ძალადობრივი ფორმა წარმოადგენს გადაჭარბებულ ზომას, რომელმაც განმცხადებლების დამამცირებელ მდგომარეობაში ჩაყენება გამოიწვია.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ არახელსაყრელი მოპყრობის მიზეზი გახდა დაცვის თანამშრომელთა მტრული დამოკიდებულება და განმცხადებელთა სექსუალური ორიენტაციის მიუღებლობა. მტრული დამოკიდებულება და მიუღებლობა კი გამოიხატა

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,571,576, II, 23

როგორც ფიზიკურ ძალადობაში, ასევე ვერბალურად, მაგალითად, ისეთი ტერმინის გამოყენებაში, როგორიცაა „პიდარასტი“, რომელიც ჰომოსექსუალი მამაკაცების მიმართ ზიზღისა და უპატივცემულობის გამომხატველ ფორმას წარმოადგენს.

მაშინ როდესაც განსხვავების მიზეზი ხდება ადამიანის პირადი ცხოვრების ასეთი ინტიმური სფერო, როგორც არის სექსუალური ორიენტაცია, განსაკუთრებით წონადი არგუმენტებია საჭირო, რათა გამართლებული იყოს განსხვავებული მოპყრობა.¹⁶ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული მოპყრობა ცალსახად განპირობებულია პირის სექსუალური ორიენტაციით, ადგილი აქვს დისკრიმინაციას.¹⁷

სახალხო დამცველი ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ლგბტ თემი ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენს საქართველოში. ისინი პრობლემებს აწყდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფეროში, იქნება ეს პირადი პროფესიული, სოციალური თუ კულტურული ცხოვრების ასპექტები. საზოგადოებაში არსებული აგრესიული დამოკიდებულება, რომელიც დამკვიდრებული სტერეოტიპებით საზრდოობს, ლგბტ თემს უზღუდავს საშუალებას, რომ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები იყვნენ და არ გახდნენ სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლნი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ განმცხადებლების კ. ს.-სა და დ. ე.-ს მიმართ ღამის კლუბის „სექტორი 26“ ადგილი ჰქონდა პირდაპირ დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის ნიშნით.

შესაბამისად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს ღამის კლუბ „სექტორ 26“-ის ადმინისტრაციას,

- უზრუნველყოს მის მიერ საჯაროდ შეთავაზებული სერვისის ხელმისაწვდომობა თანასწორობის პრინციპის დაცვით, რომელიც ასევე მოიცავს კლუბის მომსახურე პერსონალისა და დაცვის თანამშრომლების მიერ კლუბის სტუმრების პატივისცემას, მათი სექსუალური ორიენტაციის ან/და სხვა მახასიათებლის მიუხედავად.

გთხოვთ, მაცნობოთ რეკომენდაციის განხილვის შედეგები.

პატივისცემით,

¹⁶ ECtHR, *X v. Turkey*, no.: 24626/09, 27/05/2013, § 50; *Alekseyev v. Russia*, nos.: 4916/07, 25924/08, 14599/09, 21/10/2010, § 108; *Kozak v. Poland*, no.: 13102/02, 02/03/2010, §83

¹⁷ ECtHR, *Alekseyev v. Russia*, nos.: 4916/07, 25924/08, 14599/09, 21/10/2010, § 108